ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება N

ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების საფრთხის აღმოფხვრამდე ქალაქ ქუთაისში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის გადახდაზე შეღავათის დაწესების თაობაზე.

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღებისა და მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 მარტის N45 დადგენილებით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში შემოღებულ იქნა მოსაკრებელი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის, ამასთან ქალაქ ქუთაისში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის განაკვეთი ერთ სულ მოსახლეზე განისაზღვრა 0,50 ლარით თვეში, ხოლო ის ფიზიკური პირები, რომელთა ოჯახის სარეიტინგო ქულა 70001-ზე დაბალია, გათავისუფლდნენ გადასახადისაგან. ოჯახის წევრთა რაოდენობის მიუხედავად, სულადობის მაქსიმალური ზღვრული ოდენობა განისაზღვრა 4 სულით.

„კომუნალური გადასახადების სუბსიდირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 3 აპრილის N2020 დადგენილებით საქართველოში ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის დახმარების მიზნით, 2020 წლის მარტის, აპრილისა და მაისის თვეებში (თითოეული თვისათვის) მოხმარებული ელექტროენერგიის ან/და ბუნებრივი გაზის ან/და სასმელი წყლის/წყალარინების გადასახადების სუბსიდირება, განხორციელდა შემდეგნაირად: ა)საყოფაცხოვრებო მომხმარებლისთვის, რომელმაც/რომელიც საანგარიშო თვეში მოიხმარა/მოიხმარს 200 კილოვატ/საათს ან ნაკლები მოცულობის ელექტროენერგიას, ელექტროენერგიის საფასურის სუბსიდირება მოხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან; ბ) საყოფაცხოვრებო მომხმარებლისთვის, რომელმაც/რომელიც საანგარიშო თვეში მოიხმარა/მოიხმარს 200 კუბურ მეტრ ან ნაკლები მოცულობის ბუნებრივ გაზს, ბუნებრივი გაზის საფასურის სუბსიდირება მოხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან; გ) საყოფაცხოვრებო მომხმარებლისთვის, რომელმაც/რომელიც საანგარიშო თვეში მოიხმარა/მოიხმარს 200 კილოვატ/საათს ან ნაკლები მოცულობის ელექტროენერგიას, სასმელი წყლის/წყალარინების საფასურის სუბსიდირება მოხდება ბიუჯეტიდან. ამავე დადგენილებით ეთხოვა მუნიციპალიტეტებს (გარდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა) შესაბამის ადმინისტრაციულ საზღვრებში, მიიღონ შესაბამისი ზომები საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის 2020 წლის მარტის, აპრილის და მაისის თვის დასუფთავების მოსაკრებელთან დაკავშირებული საკითხის დარეგულირების მიზნით, ამ დადგენილებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

გამომდინარე ზემოთაღნშნულიდან, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2-ე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტის, „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის, მე-4 მუხლის, „კომუნალური გადასახადების სუბსიდირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 3 აპრილის N2020 დადგენილები საფუძველზე:

მუხლი 1. საქართველოში ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის დახმარების მიზნით, ქალაქ

ქუთაისში მცხოვრები ფიზიკური პირები, რომლებიც ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნის საყოფაცხოვრებო ან მუნიციპალურ ნარჩენებს სრულად გათავისუფლდნენ ერთ სულ მოსახლეზე დადგენილი ქალაქ ქუთაისში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის გადახდის ვალდებულებისაგან 2020 წლის მარტის, აპრილისა და მაისის თვეებში.

მუხლი 2. ფიზიკურ პირებს, რომლებიც ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნის საყოფაცხოვრებო ან მუნიციპალურ ნარჩენებს და რომლებსაც უკვე გადახდილი აქვთ 2020 წლის მარტის, აპრილის ან/და მაისის თვეების დასუფთავების მოსაკრებელი, გადახდილი თანხა აესახებათ პირად სააბონენტო ბარათზე, გარდა ამ განკარგულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

მუხლი 3. ფიზიკურ პირებს, რომლებიც ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნის საყოფაცხოვრებო ან მუნიციპალურ ნარჩენებს უფლება აქვთ უარი განაცხადონ სუბსიდირებაზე.

მუხლი 4. ფიზიკურმა პირებმა, რომლებიც ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნის საყოფაცხოვრებო ან მუნიციპალურ ნარჩენებს, ამ ამ განკარგულების მე-4 მუხლის შესაბამისად, სუბსიდირებაზე უარის თქმის შესახებ განცხადებით უნდა მიმართონ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურის მეორად სტრუქტურულ ერთეულს ეკოლოგიისა და მყარი ნარჩენების განყოფილებას.

მუხლი 5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქ. ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ. კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 6. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

დავით ერემეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი